საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კეშელავა იური ილიას ძე

კეშელავა იური ილიას ძე (5. I. 1941, ბათუმი, – 26. XII. 2001, თბილისი), გენერალ-მაიორი (1993). 1974 დაამთავრა სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწ. უშიშროების კომიტეტის (სუკ-ის) უმაღლესი სკოლა. 1984–92 იყო აფხაზეთის ასსრ სუკ-ის თავ-რის მოადგილე, 1992–93 – აფხაზეთის არ საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის თავ-რე, ამავდროულად 1993 – საქართვ. საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის თავ-რის მოადგილე. 1993–96 ფოთის საბაჟო დეპარტამენტის უფროსი. მინიჭებული აქვს საბაჟო სამსახურის სახელმწ. მრჩევლის წოდება (1996). დაჯილდოებულია ვახტან გორგასლის II ხარისხის ორდენით (2003, გარდაცვალების შემდეგ).

ლ. დოლიძე